სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 42

ქ. წყალტუბო

3 ივლისი 2018 წელი

ერთი მხრივ ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების "(შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი მმართველის გიორგი იობიძის სახით ს/კ 221281636 და მეორე მხრივი შპს ,, იმერერეთის სახანძრო დაცვა'' წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა შავგულიძის სახით ს/კ412702302 (შემდგომში „მიმწოდებელი") ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოსკანონისმე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს1" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ხებხელშეკრულებას დებენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაშიგამოყენებულტერმინთაგანმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორი სდადებული წინამდება რეხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შესყიდვის ობიექტია: საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები

2.2. კლასიფიკატორის კოდი : (CPV 35100000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 650,50 (ექვსასორმოცდაათი)ლარი და 50 თეთრი .

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველ გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთა ნანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1.მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ გაწეული მომსახურეობის და მადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6. მომსახურების მიწოდებისა დგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე დანართი 1 შესაბამისად .

2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 3 ივლისიდან 23 ივლისის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ისოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20 (ოც) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს–მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არი სფორს–მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ დ მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებს, რომლებიც არარიან დაკავშირებული შემსყიდველისადა/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრუსლების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმებისსაფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-მე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულები პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს

11.5. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

12. დავები და მათიგადა წყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტა და მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1.ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით .

14. რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა) იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
,,საბავშვო ბაღების გაერთიანება''
ს/კ 221281636
მის: ვაჟა ფშაველას N1
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი: TRESGE22
ელ. ფოსტა: Tskaltubosbagebi@jmail.ru
საკონტაქტო ნომერი 599 280 251
ა(ა) იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
,,საბავშვო ბაღების გაერთიანების''

მმართველი: გიორგი იობიძე

მიმწოდებელი:

შპს ,, იმერეთის სახანძრ დაცვა''
ს/კ 412702302
მის: ქ.ქუთაისი ტ.ტაბიძის ქ. N 29
ს.ს.,, საქართველოს ბანკი''
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. ნომერი: GE60BG0000000855036300
E-mail: imereti.saxandzro@mail.ru
საკონტაქტო ნომერი 555 36 21 96

დირექტორი: მამუკა შავგულიძე

დანართი 1

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	საევაკუაციო გეგმა (ლამირინირებით)	ცალი	13	38,5	500,5
2	ცეცხლმაქრობი ახალი OP-5	ცალი	2	75	150
ჯამი					650,5

მომწოდებელის ხელის მოწერა /